

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ,
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 10

ქ.ვანი, თავისუფლების ქ. N65

28 მარტი 2018 წელი
14: 00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიორგი ივანიაძე, შალვა ლორთქიფანიძე, კობა ტოხვაძე, ოლეგი მიქელთაძე, ვარლამ გიორგაძე, გელა ვარდოსანიძე, თამარ შენგელია.
სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/*დანართი NI/*

საპატიო მიზეზით სხდომას არ ესწრებოდა: გელა ჩიკვაძე, რამაზ არველაძე.

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული მეორადი სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - **ნარგიზი ალფაიძე**;

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - კომისიის უხუცესი წევრი - **ოლეგი მიქელთაძე**.

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ვანის ტურიზმის ცენტრის“ დაფუძნების თაობაზე ვანის მუნიციპალიტეტის მერიისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს./ნარგიზი ალფაიძე/

2 „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ძაღლების და კატების მოვლა-პატრონობის დამათი პოპულაციის მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 აპრილის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხს: /გიორგი ივანიაძე/

3. „ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის და არქიტექტურის სამსახურის, როგორც სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს, სამშენებლო საქმიანობაზე სამართალდარღვევის საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 აგვისტოს N34 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხსენებელი: /გიორგი ივანიაძე/

4. „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღების და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 23 იანვრის N5 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხსენებელი: /გიორგი ივანიაძე/

5. „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 10 ნოემბრის N49 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხსენებელი: /გიორგი ივანიაძე/

6. „ვანის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ იმ დასახლებისათვის, რომელშიც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 2000-ს არ აღემატება“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 იანვრის N3 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხსენებელი: /გიორგი ივანიაძე/

7. „ვანის მუნიციპალიტეტის ორგანოების, დაწესებულებების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოქვეყნების წესის, პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 4 თებერვლის N5 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხსენებელი; /გიორგი ივანიაძე/

8. სხვადასხვა.

გადაწყვეტის: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ნარგიზი ალფაიძემ, კომისიის წევრებს გააცნო ა(ა)იპ „ვანის ტურიზმის ცენტრის“ დაფუძნების თაობაზე ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საკითხზე საჭირო არის თქვენი თანხმობა რათა გავიღეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

გადაწყვეტის:

მიეცეს თანხმობა ვანის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ვანის ტურიზმის ცენტრის“ დაფუძნების თაობაზე ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემას.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად

/დანართი N2/

მომხრე - 7

წინააღმდეგი - არცერთი

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ბატონმა გიორგი ივანიაძემ კომისიის წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი - „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ძაღლების და კატების მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციის მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 აპრილის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და განმარტა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ძაღლების და კატების მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციის მართვის წესი“- შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება: კერძოდ;

ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი ცხოველებისა და მათი პოპულაციების მართვისა და კონტროლის ორგანიზება განეკუთვნება მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას, რომლის განხორციელება მუნიციპალიტეტის მერიას შეუძლია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირის ან კანონმდებლობით დადგენილი წესით საამისოდ უფლებამოსილი პირის მეშვეობით.“

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებისგან მოსაზრებები და შენიშვნები არ დაფიქსირებულა

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს და შეტანილ იქნას ცვლილება „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ძაღლების და კატების მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციის მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 აპრილის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანას.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად

/ დანართი N3/

მომხრე - 7

წინააღმდეგი - არცერთი

მოისმინეს:

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ბატონმა გიორგი ივანიაძემ კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის და არქიტექტურის სამსახურის, როგორც სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს, სამშენებლო საქმიანობაზე სამართალდარღვევის საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 აგვისტოს N34 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის, როგორც სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს, სამშენებლო საქმიანობაზე სამართალდარღვევის საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმის დამტკიცების შესახებ“

დადგენილების 1-ლი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დამტკიცდეს ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის, როგორც სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს, სამშენებლო საქმიანობაზე სამართალდარღვევის საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმა თანდართული ფორმების (დანართი N1, დანართი N2, დანართი N3, დანართი N4 და დანართი N5) შესაბამისად.“

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირა დღის წესრიგით წარმოდგენილ მესამე საკითხს

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს და შეტანილ იქნას ცვლილება „ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის და არქიტექტურის სამსახურის, როგორც სახელმწიფო ზედამხედველობის

ორგანოს, სამშენებლო საქმიანობაზე სამართალდარღვევის საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 აგვისტოს N34 დადგენილებაში ცვლილებების შეტანას.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

/დანართი N 4/

მომხრე - 7

წინააღმდეგი - არცერთი

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ბატონმა გიორგი ივანიაძემ კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღების და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 23 იანვრის N5 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხსენებელმა მოკლედ წარმოადგინა ცვლილებები, რომელიც შევიდა წარმოდგენილ დებულებაში:

დანართის მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გამცემი - ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური.“

დანართის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გარე რეკლამის განთავსების გეგმის პროექტს ამაზადებს ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური ან/და მისი მომზადება ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვის საფუძველზე შესაბამისი მომსახურების შესყიდვით.“

დანართის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გარე რეკლამის განთავსების ნებართვას აუქციონში გამარჯვებულ პირზე დადგენილი წესით გასცემს ვანის მუნიციპალიტეტის მერია.“

კომისიის წევრების მხრიდან წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები და შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს და მიეცეს თანხმობა „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღების და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 23 იანვრის N5 დადგენილებაში ცვლილებების შეტანას.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

/დანართი N 5/

მომხრე - 7
წინააღმდეგი - არცერთი

მოისმინეს:

დღის წესრიგით მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ალექსანდრე ლილუაშვილს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ტარიელ ბარამიძის

მომხსენებელი ბარათი

ბატონო ალექსანდრე,
გთოვთ მომცეთ ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებიდან შვიდი სამუშაო დღე 2018 წლის 17 აპრილიდან.

ტარიელ ბარამიძე

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე

ვანის მუნიციპალიტეტის მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 10 ნოემბრის N49 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილებაში ცვლილება ითვალისწინებს, რომ დანართი N1 ის მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მოსაკრებელი ამოიღება ამ წესის შესაბამისად“.

ქვითარი შენახული უნდა იქნეს ერთი წლის განმავლობაში. ქვითრის დაკარგვის შემთხვევაში მის აღდგენას დაიტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ახდენს ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს და მიეცეს თანხმობა „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 10 ნოემბრის N49 დადგენილებაში ცვლილებების შეტანას.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

/დანართი N 6/

მომხრე - 7
წინააღმდეგი - არცერთი

მოისმინეს:

დღის წესრიგით მეექვსე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - „ვანის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ იმ დასახლებისათვის, რომელშიც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 2000-ს არ აღემატება“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 იანვრის N3 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ და განმარტა, რომ წარმოდგენილ დადგენილებებში შეტანილ იქნას შემდეგი სახის ცვლილებები:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს დადგენილების მე - მუხლი.

2. დანართის მე -12 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

სხდომის აუდიოვერსია და ოქმი ინახება ვანის მუნიციპალიტეტის მერიაში.“

დანართის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კანდიდატთა სიის დადგენის შემდეგ რჩეული, ან მისი არყოფნის შემთხვევაში - ამ დებულების მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული პირი, აცხადებს კენჭისყრას. რჩეულის არჩევნები ტარდება ღია ან ფარული კენჭისყრით, ბიულეტენების საშუალებით, რომლის ფორმასაც ადგენს მუნიციპალიტეტის მერი.“

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს და მიეცეს თანხმობა „ვანის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ იმ დასახლებისათვის, რომელშიც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 2000-ს არ აღემატება“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 იანვრის N3 დადგენილებაში ცვლილებების შეტანას.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

/დანართი N7/

მომხრე - 7

წინააღმდეგი - არცერთი

მოისმინეს:

დღის წესრიგით მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - „ვანის მუნიციპალიტეტის ორგანოების, დაწესებულებების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოქვეყნების წესის, პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 4 თებერვლის N5 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხსენებელმა მოკლედ განმარტა წარმოდგენილ დადგენილების ცვლილებებზე;

„ვანის მუნიციპალიტეტის ორგანოების და საჯარო დაწესებულებების მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოქვეყნების წესის, პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“

დადგენილების 1-ლი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დამტკიცდეს „ვანის მუნიციპალიტეტის ორგანოების და საჯარო დაწესებულებების მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოქვეყნების წესი“ დანართი N1-ის შესაბამისად.“

დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დამტკიცდეს „ვანის მუნიციპალიტეტის ორგანოების და საჯარო დაწესებულებების მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხა“ დანართი N2-ის შესაბამისად.“

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს და მიეცეს თანხმობა „ვანის მუნიციპალიტეტის ორგანოების, დაწესებულებების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოქვეყნების წესის, პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 4 თებერვლის N5 დადგენილებაში ცვლილებების შეტანას.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

/დანართი N 8/

მომხრე - 7

წინააღმდეგი - არცერთი

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ოლეგი მიქელთაძე

საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო,
საპროცედურო საკითხთა და ეთიკის
კომისიის უხუცესი წევრი